



ა(ა)იპ - საზოგადოებრივი კოლეჯი  
„ადამიანი და ბუნება“

1.	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და საფეხური	მე -3 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - მასაჟისტი
2	სასწავლო კურსის დასახელება	სამედიცინო მასაჟი
3	სასწავლო კურსის სწავლების ხანგრძლივობა	1 კრედიტი - 25 საათი. სულ 9,5 კრედიტი - 237,5 საათი. აქედან საკონტაქტო დრო 179 საათი, დამოუკიდებელი დრო 58,5 საათი. საკონტაქტო დრო განაწილებილია შემდეგნაირად: - ლექცია - სამუშაო ჯგუფში მუშაობა - 165 საათი; - გამოცდები 14 საათი. 11 სასწავლო კვირა.
4	სასწავლო კურსის შინაარსი	სასწავლო კურსი მოიცავს სამკურნალო მასაჟის ძირითადი კონცეფციების, მეთოდების, პრინციპების და ფაქტების ასათვისებლად აუცილებელ ინფორმაციას. გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელი ნაბიჯებისა და პროცესების გაცნობიერებას. სასწავლო კურსი აყალიბებს პროფესიულ სტუდენტის თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარს, სხვადასხვა სიტუაციაში სათანადო მეთოდების, ინსტრუმენტებისა და მასალების ადექვატურად შერჩევას. სამკურნალო მასაჟის სფეროს სპეციფიკური საკითხების, საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, უცხო ენის ეფექტურად გამოყენებას. წარმოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად მათი შეფასებისა და ანალიზის უნარს. ის საკმარისად მოტივირებული იქნება ისეთი რთული პროფესიის დაუფლებისათვის, როგორცაა სამკურნალო მასაჟი.
5	მიზანი	სასწავლო კურსის მიზანია: აღზარდოს პროფესიონალი მასაჟისტები, რომლებსაც თეორიული და პრაქტიკული კურსების გავლის შემდეგ ექნებათ პროფესიასთან დაკავშირებული ზოგადი და კონკრეტული კონცეფციების ცოდნა და ამ ცოდნის გამოყენების უნარი გარკვეული დამოუკიდებლობით პრაქტიკული საქმიანობისას. პროფესიული სტუდენტი შეისწავლის გართულებულ სიტუაციებში კრიტიკული აზროვნების უნარს, სამუშაოს დაგეგმვას აუცილებელი ნაბიჯების გაცნობიერებით, პრაქტიკული უნარ-ჩვევების ფართო სპექტრის გამოყენებას, ინსტრუმენტებისა და მასალის სწორ შერჩევას და შესაბამისი მეთოდის გამოყენებას. საჭიროების მიხედვით ადექვატური საინფორმაციო წყაროების კვალიფიციური გამოყენება ან დროული კომუნიკაცია, როგორც კოლეგებთან, ასევე სხვა პროფესიონალებთან; მას შეეძლება უცხო ენაზე მარტივი კომუნიკაცია და შესაბამისი წყაროების ეფექტურად გამოყენების უნარი, საკუთარ განათლებაზე პასუხისმგებლობის აღება პროფესიული წინსვლის მიზნით, ადამიანის ჯანმრთელობასთან და სიცოცხლესთან, ასევე ეთიკურ საკითხებთან დაკავშირებულ ღირებულებათა მწყობრი სისტემის შექმნა.



ა(ა)იპ - საზოგადოებრივი კოლეჯი  
„ადამიანი და ბუნება“

6	შესწავლის წინაპირობები	ზოგადი სწავლებები
7	სასწავლო საქმიანობა და სწავლის მეთოდები	<ul style="list-style-type: none"> <li>➤ ლექცია - თეორიული სწავლება, სალექციო კურსებითა და შესაბამისი ლიტერატურით, სასწავლო მულაჟების (ანატომიური მულაჟი - ჩონჩხი, გადაუდებელი დახმარების თოჯინა) და სხვა თვალსაჩინოებები (სასწავლო ვიდეო კასეტები, ანატომიური პლაკატები და სხვა);</li> <li>➤ სამუშაო ჯგუფში მუშაობა 3 კაციან ჯგუფებში, კითხვა პასუხის რეჟიმში, სიტუაციური მაგალითები, ვიდეოფილმები, სამკაცინ ჯგუფებში ერთმანეთზე ვარჯიში ფუნქციურ საწოლთან;</li> <li>➤ დამოუკიდებელი მეცადინეობა - საშინაო დავალების მომზადება, გამოცდებისათვის მზადება;</li> <li>➤ გამოცდები წერითი და ზეპირი.</li> </ul>
8	შეფასების სისტემა, კრიტერიუმები და მეთოდები	<p>სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. დასკვნითი გამოცდა 0-40 ქულა; შუალედური შეფასება 0 - 60 ქულა, თითოეული საკითხი ფასდება 0-5 ქულა, სულ 0-40 ქულა (შეფასების კრიტერიუმი აქტივობა და ტესტის შესრულების ხარისხი); ერთი შუალედური შეფასების გამოცდა 0-10 ქულა, სულ ორი შუალედური გამოცდა - 20 ქულა. შუალედური შეფასების გამოცდა ჩატარდება პროფესიული სტუდენტის მიერ დავალების პრაქტიკულად შესრულებისა და პროფესიული სტუდენტის მიერ ახსნა-განმარტებებით შეფასებით. თითოეული შუალედური შეფასების გამოცდიდან პროფესიულმა სტუდენტმა უნდა მიიღოს მინიმუმ 5 ქულა გამოცდა ჩაბარებულად რომ ჩაეთვალოს. დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობაა მინიმუმ შუალედური შეფასების გამოცდის ჩათვლით 30 ქულა. დასკვნითი გამოცდა ტარდება პრაქტიკული დავალების შესრულების ჩვენებით. შესრულების კრიტერიუმებია: 0-20 ქულა მასაჟის განხორციელება; 0-10 ქულა პაციენტთან კომუნიკაციის უნარი; 0-10 ქულა შერჩეული მეთოდების ადექვატურობა.</p> <p>შეფასების სისტემა უშვებს:</p> <p>ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;</li> <li>ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81 - 90%;</li> <li>ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 70 - 80%;</li> <li>ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61 - 70%;</li> <li>ა.ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 50 - 60%;</li> </ul> <p>ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41 - 50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;</li> <li>ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</li> </ul> <p>პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.</p>



ა(ა)იპ - საზოგადოებრივი კოლეჯი  
„ადამიანი და ბუნება“

9	სასწავლო რესურსი/ლიტერატურა	<p>მირითადი სასწავლო მასალა - სალექციო კურსები;  ავალიანი ნ. - მანუალური თერაპია, 1993, თბილისი სახ. უნივერსიტეტი;  ურუშაძე ხ. - სამკურნალო მასაჟი, 2012 წ. თბილისი, „ოპიზა“  აფციაური მ. - სამკურნალო მასაჟი, მეთოდთა და ტექნიკა, პირველი ნაწილი, „გეორგია“, 2010წ.  აფციაური მ. - სამკურნალო მასაჟი და ტანვარჯიში, მეორე ნაწილი, , თბილისი, „გეორგია“ 2009წ.  დუბროვსკი ა. ვ. დუბროვსკი ვ.ი. - სამკურნალო მასაჟი, 2001, მოსკოვი;  ვასილკინი ვ. - ყველაფერი მასაჟის შესახებ, 2002წ. მოსკოვი;  ჰაუშკა მ. - რიტმული მასაჟი დოქ. იტა ვეგმანის მიხედვით, 2002წ. მოსკოვი;  ფინგადო მ. - რიტმული შეხელება, 2002 წ. ფრაიბურგი;  ლაიერ მ. - პრაქტიკული სახელმძღვანელო რიტმული შეხელებებისთვის ვეგმან/ჰაუშკას მიხედვით, 2003, ბერლინი;  ბერთრამი მ. - თერაპიული პროცესი, როგორც დიალოგი. რიტმული შეხელებების (ვეგმან/ჰაუშკას მიხ.) სტრუქტურულ-ფენომენოლოგიური გამოკვლევა, 2005 წ. ბერლინი;  ჰაინე რ. - ანთროპოსოფიული თვალთახედვა მოვლის საქმეში. მოვლა, როგორც შემოქმედებითი ამოცანა, 2010, თბილისი;  ფოლდი მ. კუბიკ შ. - ლიმფოლოგიის სახელმძღვანელო, 1993წ. შტუტგარდი, იენა, ნიუ--იორკი;  ფოლდი მ. შტროსენროითერი რ. - ლიმფის მანუალური დრენაჟის საფუძვლები, 2000 წ. მიუნხენი, იენა;  იუნგე ფ., იუნგე ვ. - ზეთის დისპერსიული აბაზანები იუნგეს მიხედვით, 2013, მოსკოვი.</p>
10	სწავლის შედეგები	<p>სასწავლო კურსი პროფესიულ სტუდენტს უვითარებს ზოგად და დარგობრივ უნარებს (ცოდნა და გაცნობიერება; ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი; დასკვნის გაკეთების უნარი; კომუნიკაციის უნარი; სწავლის უნარი; ღირებულებები.)</p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ შეუძლია პროცედურის ჩატარებისას გაითვალისწინოს დაავადების მიმდინარეობა;</li> <li>➤ შეუძლია დაგეგმვა და პროცესის მოდელირება პაციენტის მდგომარეობის, ასაკის და დაავადების გათვალისწინებით;</li> <li>➤ დარღვევის შემთხვევაში აკეთებს დამოუკიდებელ დასკვნას, მკურნალი ექიმის შენიშვნების გათვალისწინებით; მიმართავს პრობლემის გადაჭრის გზებს;</li> <li>➤ შეუძლია საკუთარი თავის დაცვა სხეულებრივი და მენტალური პრობლემებისაგან, პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს (განსაკუთრებით ინფექციის კერაში მუშაობისას);</li> <li>➤ იცავს ანტისექტივისა და ასექტივის პრინციპებს;</li> <li>➤ შეუძლია ინფორმირება;</li> <li>➤ შეუძლია თანამშრომლობა პაციენტის მკურნალობის პროცესში ჩართულ სხვა მედპერსონალთან და მის უახლოეს მიკროსოციუმთან, პაციენტის მიმართ არ კარგავს კეთილგანწყობას;</li> <li>➤ იცავს პაციენტებთან, მათ წარმომადგენლებთან და კოლეგებთან ურთიერთობის ეთიკურ და სამართლებრივ ნორმებს, მოქმედებს მათ შესაბამისად;</li> <li>➤ შეუძლია პროფესიული კომპეტენციის ფარგლებში აუცილებელი და გამოსაყენებელი ინფორმაციის, შინაგანაწესის, ხელშეკრულებისა</li> </ul>



ა(ა)იპ - საზოგადოებრივი კოლეჯი  
„ადამიანი და ბუნება“

		და სხვა საჭირო ინფორმაციის წაკითხვა- გააზრება; ➤ შეუძლია შეხების განსაკუთრებული უნარების ჩამოყალიბება; ➤ შეუძლია შესაბამისი ლიტერატურის გამოყენება; ➤ ამ სწავლების შედეგად კურსდამთავრებულს შეეძლება პროგრამაში ჩადებული თეორიული ცოდნითა და პრაქტიკული უნარ-ჩვევებით სრული მანიპულირება.
11	მასწავლებელი/მასწავლებლები; საკონტაქტო ინფორმაცია	ჰაიკე დამსი (შვეიცარია) - ხელმძღვანელი განათლების სფეროში, რიტმული მასაჟის (ვეგმან/ჰაუშკას მიხედვით), პრესელის მასაჟის და სამკურნალო აბაზანების (იუნგეს მიხედვით) სპეციალისტი, ტელ.: +41627710647, E-mail: <a href="mailto:info@heike-dahms.ch">info@heike-dahms.ch</a>  ლია ავალიანი - ექიმი-რეაბილიტოლოგი, ტელ.: 995 593 168461, E-Mail: <a href="mailto:lia_avani@yahoo.com">lia_avani@yahoo.com</a>  ლალი ზაუტაშვილი - ლიმფოლოგი, რიტმული მასაჟის სპეციალისტი, ტელ.: 995 599 202495, E-Mail: <a href="mailto:lalizautashvili@yahoo.com">lalizautashvili@yahoo.com</a>

სასწავლო კურსის თემების გადანაწილება საათების/კვირების მიხედვით			
სასწავლო პერიოდი (დღე)	საათების რაოდენობა/აქტივობა	თემის დასახელება	სასწავლო რესურსი/ლიტერატურა
1 კვირა	ლექცია-10 სთ/ სამუშაო ჯგუფში მუშაობა-5სთ/ შეფასება; <b>სულ - 15 სთ</b>	შესავალი; მასაჟისტის პროფესიასთან დაკავშირებული საკანონმდებლო საკითხები საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის სისტემაში; მასაჟისტის პროფესიული სტანდარტების მოთხოვნები; მასაჟისტის პროფესიის როლი ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში; კლასიკური მასაჟის ისტორიის მიმოხილვა, მასაჟის ცნება, მასაჟის სახეები და მეთოდიკები (ტრადიციული, სპორტული და ჰიგიენური მასაჟის მეთოდიკები); კლასიკური მასაჟის ილეთების კლასიფიკაცია; მასაჟის ტექნიკის "ანბანი": ხელსმა, სრესა, თელვა, დარტყმითი ილეთები (ტყაპუნი, ჩეხვა, კაფვა, კაკუნი, "თითებით წკეპლვა"), რხევები (ბერტყვა, შერხევა, ვიბრაცია).	ნ.ავალიანი - მანუალური თერაპია, თბილისი, 1993 წ.; ხ.ურუშაძე - სამკურნალო მასაჟი, თბილისი 2012 წ.; აფციაური მ. - სამკურნალო მასაჟი, მეთოდიკა და ტექნიკა, პირველი ნაწილი, „გეორგიკა“, 2010წ. აფციაური მ. - სამკურნალო მასაჟი და ტანვარჯიში, მეორე ნაწილი, თბილისი, „გეორგიკა“ 2009წ. დუბროვსკი ა. ვ. დუბროვსკი ვ.ი. სამკურნალო მასაჟი, მოსკოვი, 2001წ.; ვასიჩკინი ვ. ყველაფერი მასაჟის შესახებ, მოსკოვი 2002წ.; სალექციო კურსი.



ა(ა)იპ - საზოგადოებრივი კოლეჯი  
„ადამიანი და ბუნება“

<p>2 კვირა</p>	<p>ლექცია-10სთ/ სამუშაო ჯგუფში მუშაობა-5სთ/ შეფასება; <b>სულ - 15 სთ</b></p>	<p>მასაჟის რთული ილეთები; საერთო ჰიგიენური მასაჟი; სპორტული აღდგენითი და საწვრთნელი მასაჟი; მასაჟის ილეთების შესწავლა ადამიანის სხეულის სხვადასხვა ნაწილებისთვის; ჰიგიენური მასაჟის პროცედურის სწორად ჩატარება კლასიკური მასაჟის ილეთების გამოყენებით; პრაქტიკულად ჯანმრთელი ადამიანის ჰიგიენური მასაჟი; სამასაჟო ოთახის ფართობი, სან-ჰიგიენური წესების დაცვით მისი გამოყენება, სამასაჟო ტახტების ფორმა, ზომა, სიმაღლე - სამასაჟე კაბინეტის მოწყობა.</p>	<p>ნ.ავალიანი - მანუალური თერაპია, თბილისი, 1993 წ.; ხ.ურუშაძე - სამკურნალო მასაჟი, თბილისი 2012 წ.; აფციაური მ. - სამკურნალო მასაჟი, მეთოდიკა და ტექნიკა, პირველი ნაწილი, „გეორგიკა“, 2010წ. აფციაური მ. - სამკურნალო მასაჟი და ტანვარჯიში, მეორე ნაწილი, თბილისი, „გეორგიკა“ 2009წ. დუბროვსკი ა. ვ. დუბროვსკი ვ.ი. სამკურნალო მასაჟი, მოსკოვი, 2001წ.; ვასიჩკინი ვ. ყველაფერი მასაჟის შესახებ, მოსკოვი 2002წ.; სალექციო კურსი.</p>
<p>3 კვირა</p>	<p>ლექცია-10სთ/ სამუშაო ჯგუფში მუშაობა-5სთ/ <b>შუალედური გამოცდა 4სთ სულ 19სთ</b></p>	<p>მანუალური თერაპია მასაჟის სისტემაში; სამკურნალო მასაჟი კლასიკური (შვედური) მასაჟის ჭრილში; მასაჟის რთული ილეთების შესრულების დახვეწა; სამკურნალო მასაჟის ამოცანებისა და ილეთების ზემოქმედება შემდეგ ორგანოთა სისტემებზე, ქსოვილებსა და შინაგან ორგანოებზე: სისხლის მიმოქცევისა და ლიმფურ სისტემაზე, კუნთოვან სისტემაზე, ძვალ-სახსროვან და ნერვულ სისტემაზე, შემაერთებელ ქსოვილზე, მთლიანად ადამიანის ორგანიზმზე.</p>	<p>ნ.ავალიანი - მანუალური თერაპია, თბილისი, 1993 წ.; ხ.ურუშაძე - სამკურნალო მასაჟი, თბილისი 2012 წ.; აფციაური მ. - სამკურნალო მასაჟი, მეთოდიკა და ტექნიკა, პირველი ნაწილი, „გეორგიკა“, 2010წ. აფციაური მ. - სამკურნალო მასაჟი და ტანვარჯიში, მეორე ნაწილი, თბილისი, „გეორგიკა“ 2009წ. დუბროვსკი ა. ვ. დუბროვსკი ვ.ი. სამკურნალო მასაჟი, მოსკოვი, 2001წ.; ვასიჩკინი ვ. ყველაფერი მასაჟის შესახებ, მოსკოვი 2002წ.; სალექციო კურსი.</p>
<p>4 - კვირა</p>	<p>ლექცია-10სთ/ სამუშაო ჯგუფში მუშაობა-5სთ/ შეფასება; <b>სულ - 15 სთ</b></p>	<p>სამასაჟო სპეციალური აპარატურა- ვიბრომასაჟორი, ვაკუუმმასაჟორი და სხვა.; ვიბრაციული მასაჟის გამოყენების მეთოდიკა; მასაჟისადმი ტოლერანტობის ნიშნები: ტკივილი ქოშინი, ტაქიკარდია, ექსტრასისტოლა და სხვა; კლასიკური მასაჟის ჩვენებები და უკუჩვენებები; სხეულის ნაწილების მასაჟი: ზურგის მასაჟი, გულ-მკერდის მასაჟი, მუცლის მასაჟი, ქვედა კიდურის მასაჟი, ზედა კიდურის მასაჟი, სხეულის უკანა და წინა ზედაპირების მასაჟი; საერთო კლასიკური მასაჟი.</p>	<p>ნ.ავალიანი - მანუალური თერაპია, თბილისი, 1993 წ.; ხ.ურუშაძე - სამკურნალო მასაჟი, თბილისი 2012 წ.; აფციაური მ. - სამკურნალო მასაჟი, მეთოდიკა და ტექნიკა, პირველი ნაწილი, „გეორგიკა“, 2010წ.; აფციაური მ. - სამკურნალო მასაჟი და ტანვარჯიში, მეორე ნაწილი, თბილისი, „გეორგიკა“ 2009წ.; დუბროვსკი ა. ვ. დუბროვსკი ვ.ი. სამკურნალო მასაჟი, მოსკოვი, 2001წ.; ვასიჩკინი ვ. ყველაფერი მასაჟის</p>



ა(ა)იპ - საზოგადოებრივი კოლეჯი  
„ადამიანი და ბუნება“

			შესახებ, მოსკოვი 2002წ.; სალექციო კურსი.
5- კვირა	ლექცია-10სთ/ სამუშაო ჯგუფში მუშაობა-5სთ/ შეფასება;  <b>სულ - 15 სთ</b>	სამასაჟო ზეთები, საცხები და მალამოები; ანტიცელულიტური, თაფლით და სხვა ეგზოტიკური მასაჟის სახეები; სეგმენტურ-რეფლექტორული მასაჟი; სხეულის ქსოვილების ურთიერთკაცში შინაგან ორგანოებთან; რეფლექტორული ცვლილებები და მათი გამოვლინება კანში, შემაერთებელ ქსოვილში, კუნთებში და ძვლებში; სხვადასხვა დაავადების დროს ქსოვილებში სეგმენტური ცვლილებების ლოკალიზაცია; სეგმენტური მასაჟის ილეთები, მოქმედება და ჩვენებები.	ნ.ავალიანი - მანუალური თერაპია, თბილისი, გვ. 82, 1993 წ.; ხ.ურუშაძე - სამკურნალო მასაჟი, თბილისი 2012 წ.;აფციაური მ. - სამკურნალო მასაჟი, მეთოდიკა და ტექნიკა, პირველი ნაწილი, „გეორგიკა“, 2010წ.; აფციაური მ. - სამკურნალო მასაჟი და ტანვარჯიში, მეორე ნაწილი, , თბილისი, „გეორგიკა“ 2009წ.; დუბროვსკი ა. ვ. დუბროვსკი ვ.ი. სამკურნალო მასაჟი, მოსკოვი, 2001წ.; ვასიჩკინი ვ. ყველაფერი მასაჟის შესახებ, მოსკოვი 2002წ.; სალექციო კურსი.
6 კვირა	ლექცია-10სთ/ სამუშაო ჯგუფში მუშაობა- 5სთ/შეფასება;  <b>სულ 15 სთ</b>	მასაჟის სხვადასხვა მეთოდის გამოყენება განსხვავებული დაავადებების მქონე პაციენტთა მკერნალობაში, ექიმის მიერ დასახული ამოცანების შესაბამისად.	ნ.ავალიანი - მანუალური თერაპია, თბილისი, 1993 წ.; ხ.ურუშაძე - სამკურნალო მასაჟი, თბილისი 2012 წ.;აფციაური მ. - სამკურნალო მასაჟი, მეთოდიკა და ტექნიკა, პირველი ნაწილი, „გეორგიკა“, 2010წ. აფციაური მ. - სამკურნალო მასაჟი და ტანვარჯიში, მეორე ნაწილი, , თბილისი, „გეორგიკა“ 2009წ. დუბროვსკი ა. ვ. დუბროვსკი ვ.ი. სამკურნალო მასაჟი, მოსკოვი, 2001წ.; ვასიჩკინი ვ. ყველაფერი მასაჟის შესახებ, მოსკოვი 2002წ.; სალექციო კურსი.
7 კვირა	ლექცია 10სთ/სამუშაო ჯგუფში მუშაობა	-რიტმული შეხელების ( რმ ვეგმან/ჰაუშკას მიხედვით) ისტორია; ზრდასრულ ადამიანთა სწავლების	ფინგადო მ. - რიტმული შეხელება, ფრაიბურგი,2002 წ.; ლაიერ მ. - პრაქტიკული



ა(ა)იპ - საზოგადოებრივი კოლეჯი  
„ადამიანი და ბუნება“

	<p>5სთ</p> <p><b>შუალედური გამოცდა 4სთ სულ 19სთ</b></p>	<p>საფუძვლები; რმ პროცედურის ჩატარების კრიტერიუმები; რიტმი და სუნთქვის პროცესი; რმ მიმართველი ხაზების ანატომია და ძირეული ფორმები; ადამიანის სითხური და სითხური ორგანიზაციები; სიმსუბუქე და სიმძიმე; პოლარული ზემოქმედების პრინციპები რმ დროს; რმ ჩვენება-უკუჩვენება; რმ დროს გამოყენებადი სამკურნალო სუბსტანციები.</p> <p>- სამკურნალო აბაზანები; წყლის გარემოს განმკურნებელი ზემოქმედების პრინციპები; ზეთის დისპერსიული აბაზანების ჩვენება-უკუჩვენება; ნაწილობრივი და მთლიანი აბაზანები.</p> <p>- სახვევები და საფენები (კომპრესები); სამკურნალო მცენარეთა გამოყენება სხვადასხვა გარეგანი საშუალებებით ზემოქმედების დროს; მასალის ნაირსახეობანი სახვევებისა და საფენებისთვის; სველი, მალამოიანი, ზეთიანი, თაფლის სანთლის და სხვა სუბსტანციების გამოყენებით სახვევებისა და საფენების შესრულების მეთოდიკები.</p>	<p>სახელმძღვანელო რიტ-მული შეხვედრებისთვის ვეგმან/ჰაუმკას მიხედვით, ბერლინი, 2003 წ.;</p> <p>ბერთრამი მ. - თერაპიული პროცესი, როგორც დიალოგი. რიტმული შეხვედრების (ვეგმან/ჰაუმკას მიხ.) სტრუქტურულ-ფენომენოლოგიური გამოკვლევა, ბერლინი, 2005 წ.;</p> <p>ჰაინე რ. ბეი ფ. - ანთროპო-სოფიული თვალთახედვა მოვლის საქმეში. მოვლა, როგორც შემოქმედებითი ამოცანა, თბილისი, 2010 წ.;</p> <p>იუნგე ფ. იუნგე ვ. - ზეთის დისპერსიული აბაზანები იუნგეს მიხედვით, 2013წ., მოსკოვი;</p> <p>სალექციო კურსი.</p>
<p>8კვირა</p>	<p>ლექცია-10სთ/სამუშაო ჯგუფში მუშაობა-5სთ/შეფასება</p> <p><b>სულ - 15 სთ</b></p>	<p>რიტმული მასაჟის (რმ - ვეგმან/ჰაუმკას მიხედვით) ისტორია; რმ ადამიანის ორგანიზმზე ზემოქმედების ძირითადი პრინციპები; ადამიანის ორგანიზმის ფუნქციონალური სამწევროვნების პრინციპი და მისი კავშირი ავადმყოფობასა და ჯანმრთელობასთან; რმ კავშირი ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე აღმშენებლობით და დამშლელ პროცესებთან; ჩონჩხის მეტამორფოზები; რიტმული ზემოქმედების მნიშვნელობა; ავადმყოფზე გარეგანი დაკვირვების კრიტერიუმები; ქსოვილების მდგომარეობის შეფასება; რმ ძირითადი ილეთები;</p>	<p>ჰაუმკა მ. - რიტმული მასაჟი იტა ვეგმანის მიხედვით. ადამიანზე სწავლების საფუძვლები, 2002წ.;</p> <p>სალექციო კურსი</p>
<p>9 კვირა</p>	<p>ლექცია-10სთ/სამუშაო ჯგუფში მუშაობა-5სთ/შეფასება;</p> <p><b>სულ - 15სთ</b></p>	<p>ადამიანის სხეულის სხვადასხვა ნაწილის შესაბამისი რმ ძირეული ფორმები; კუნთოვანი სისტემის ანატომია და მასთან დაკავშირებული რმ მიმართველი ხაზები; პოლარულობის კანონი რმ; დაავადებათა ორი - სკლეროტული და ანთებითი მიმართულებით სხვადასხვა გამოვლინებები; რმ დროს სამუშაო მცენარეული ეთერზეთების</p>	<p>ჰაუმკა მ. - რიტმული მასაჟი იტა ვეგმანის მიხედვით. ადამიანზე სწავლების საფუძვლები, 2002წ.;</p> <p>სალექციო კურსი.</p>



ა(ა)იპ - საზოგადოებრივი კოლეჯი  
„ადამიანი და ბუნება“

		თავისებურებანი; რმ ჩატარების ჩვენება-უკუჩვენება; ასაკობრივი თავისებურებები რმ ჩატარებისას; რმ პროცედურის ჩატარების თავისებურებანი.	
10 კვირა	ლექცია-10სთ/ სამუშაო ჯგუფში მუშაობა-5სთ/ შეფასება; <b>სულ - 15სთ</b>	მასაჟის იარაღის - ადამიანის ხელის შესწავლა; სხვადასხვა სუბსტანციების - მცენარეული ეთერზეთების, საცხებისა და მალამოების გამოყენება რმ დროს; ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესების რიტმული ხასიათი; რმ ძირეული ფორმების ზოგიერთი მოდიფიკაცია; რმ დროს გამოყენებული ზემოქმედების სხვა ფორმები - „ლემნისკატისა“ და „პენტაგრამის“ ფორმის ხელსმითი ილეთები სხვადასხვა ორგანოებზე რიტმული შეზღვევის დროს; ნაკადის გამოწვევი მასაჟის საფუძვლები მედ. დოქტ. სიმეონ პრესელის მიხედვით (პრესელის მასაჟი); მოძრაობის წინარე ფორმები; ”მოძრაობა განმაკურნებელია”; ჯანმრთელობის შემანარჩუნებელი\სალუტოგენეზური ზემოქმედება მასაჟის მეშვეობით; პრესელის მასაჟი შემდეგი დაავადებების დროს: საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის დაავ., ნიციტიერებათა ცვლის, ნევროლოგიური, გულსისხლძარღვთა სისტემის, და როგორც შედეგი - შოკის შემდგომი, ძილის დარღვევის, ფსიქიური ლაბილობის, გადაღლილობის დეპრესიის, შიშის მდგომარეობებით გამოწვეული და სხვ., აგრეთვე რეაბილიტაციის პროცესში.	ჰაუშკა მ. - რიტმული მასაჟი იტა ვეგმანის მიხედვით. ადამიანზე სწავლების საფუძვლები, 2002წ.;  სალექციო კურსი.
11 კვირა	ლექცია-10სთ/ სამუშაო ჯგუფში მუშაობა-5სთ  <b>დასკვნითი გამოცდა 6 სთ სულ - 21 სთ</b>	რმ პროცედურის ჩატარების თავისებურებანი ექიმის მიერ დასმული დიაგნოზის მიხედვით; მასაჟისტის ერთობლივი მუშაობა სამედიცინო გუნდში - ექიმის დანიშნულების შესრულება და უკუგება; სამედიცინო რეაბილიტაციის საფუძვლები; ბიოგრაფიული ასპექტების გათვალისწინებით მუშაობის პრინციპები რეაბილიტაციური მკურნალობის დროს; რმ მასაჟის როლი სხვადასხვა დაავადებათა მკურნალობის დროს; რმ, როგორც სხვა თერაპიულად მოქმედი პროცედურების გამაძლიერებელი და	ჰაუშკა მ. - რიტმული მასაჟი იტა ვეგმანის მიხედვით. ადამიანზე სწავლების საფუძვლები, 2002წ.;  სალექციო კურსი.





ა(ა)იპ - საზოგადოებრივი კოლეჯი  
„ადამიანი და ბუნება“

		ხელისშემწობი საშუალება; ზოგადად მასაჟის დოკუმენტაცია და რიტმული მასაჟისთვის აუცილებელი ინფორმაციის მოპოვება- რეგისტრაციის აუცილებლობა თერაპიულ გუნდში მუშაობის დროს.	
--	--	--	--

ხელმოწერა: